81
ჭ46

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ნატა გურამის ასული ჭილაშვილი

# თემატური ეპითეტი როგორც რეტროსპექტული მოდალობის ინდექსი ავტოპორტრეტში

10.02.04 – რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

# ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე

| | |
|---|---|
| სამეცნიერო ხელმძღვანელი: | **რუსუდან ენუქიძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.04) |
| ოფიციალური ოპონენტები: | 1. **ია ფხაკაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.04) |
| | 2. **იზაბელა პეტრიაშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.02.04) |

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 29 ნოემბერს 13 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P.10.07.№7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, I კორპუსი, 93-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: თბილისი, 0134, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 27 ოქტომბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — რ. ქურდაძე



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ლინგვოსტილისტიკაში ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო საკითხს – მოდალობის კატეგორიას და ტექსტის დონეზე ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებში მისი გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას -ეპითეტს (თემატურ და მიკროთემატურ ეპითეტს).

**ნაშრომის აქტუალობა** განისაზღვრა იმ ფაქტით, რომ ტექსტის ლინგვისტიკაში მხატვრული ლიტერატურის ჟანრობრივი სახეობების ლინგვოსტილისტური კვლევა და ზოგადი კატეგორიების კონკრეტულ ტექსტობრივ დონეზე ანალიზი ჯერ კიდევ რჩება "ორიგინალურობის" და თავისთავადობის სფეროში, როგორც საკვლევი ობიექტის, ისე მისი კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიის თუ ცალკეული მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით.

**წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს საკვლევი საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვაში:

ა) ეპითეტების მხატვრული ტექსტის დონეზე აქტუალიზება როგორც რეპრეზენტულ, ისე ასოციაციურ დონეზე.

ბ) შემფასებლური ლექსიკის აქტუალიზაციის პროცესში სიუჟეტური დროისა და მთხრობელის დროის ფუნქციონალური დატვირთულობა (ტექსტის ლინგვისტიკისა და ტექსტის თეორიის ასპექტი).

გ) ავტობიოგრაფიული თხრობის განხილვა როგორც მნემური პროცესების ერთ-ერთი ასპექტის — მოგონების აქტუალიზაცია მხატვრულ ტექსტში (საკვლევი მასალის განხილვა ფსიქოლოგიური კუთხით).

დ) შემფასებლურ ლექსიკაში ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთმიმართების განხილვა ზოგადისა და კონკრეტულის უზოგადესი კატეგორიების გათვალისწინებით (საკითხის ფილოსოფიური ასპექტი).

**სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ მასში განხილულია და დაზუსტებულია ერთ-ერთი ენობრივი მოვლენის (კერძოდ, შემფასებლური ლექსიკის) ტექსტში ტრანსპონირების დროს განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთვის (ზოგადის მიერ კონკრეტულის სრული "გადაფარვის", ანუ კონკრეტულის საპირისპირო მნიშვნელობის) [illegible]. დადგენილია შემფასებლური ლექსიკის მხატვრულ ტექსტში (კერძოდ, ავტოპორტრეტში) აქტუალიზებისას გარკვეული ნიშანდობ-